№ 105
ხუთშაბათი, 21 მაისი, 1898 წ.

გაზეთის ღირს:

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

„ივერიის“ ტელეფონი № 227

1877—1898

# ივერია

№ 105
ხუთშაბათი, 21 მაისი, 1898 წ.

რედაქცია:
ნიკოლოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.
გაზეთის დასაბარებლად
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიმართონ რედაქციას და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას
ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ., მეოთხეზედ—3 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227

პარასკევს, 22 მაისს წლის წირვა გარდაცვალებულისა სტაცკი სოვეტნიკისა

ვახტანგ მიხეილის ძის მაჩაბლისა

გარდახდილ იქმნება ჩუღურეთის წმ. ნიკოლოზის ეკლესიაში. ელისაბედ ივანეს ასული მაჩაბლისა და შვილები მისნი სთხოვენ ნათესავთა და ნაცნობთა მობრძანდნენ წირვაზედ დასასწრებად. წირვა დაიწყობა 9 საათზედ. ( —89—1)

გამოვიდა და ისყიდება წერა-კითხვის საზოგადოებისა და ქართულ წიგნების გამომცემელ ამხანაგობის წიგნის მაღაზიებში

ბუნება და ცხოვრება

ილ. ალ ხაზიშვილისა

ფასი 60 კაპ.

ვინც ზემოხსენებულ მაღაზიებიდგან დაიბარებს არა ნაკლებ ათის ცალისა, წიგნი დაეთმობა 48 კ. ათის ცალის გაგზავნა ღირს 37 კ. (20—84—3)

საქველ-მოქმედო ბაზარი

ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების სასარგებლოდ დანიშნულია 24 და 25 მაისს თავ.-დ-აზნაურობის (არწრუნისეულს) ქარვასლის ბაღში.

ვაჭრობა დაიწყება დილის 10-ს საათზე და გათავდება საღამოს 10 საათზე.

ვაჭრობის დროს დაუკრავს მუსიკა.

ბაღში შესასვლელი ბილეთი ღირს 20 კ. (უ.)

მოსამსახურეთა საყურადღებოდ

„ტფილისის მოსამსახურეთა დამხმარებელ საზოგადოების“ კომისია სთხოვს უმორჩილესად ყველას მობრძანდენ და დაესწრნენ ამა საზოგადოების ახლად შემუშავებულ წესდების განხილვას პარასკევს, 22 მაისს, საღამოს 7-ს საათზედ „პურ-ღვინოში“ (მუხრანბატონის სახლებში) სადაც დანიშნულია პირველი საზოგადო კრება „წესდების“ შემმუშავებელ კომისიისა. (3—უ—2)

მეაგარკეთა საყურადღებოდ

ქ. თელავში ნადიკვარზედ მთელის ზაფხულის განმავლობაში (7-ს თიბათვიდგან 1-ს ენკენისთვემდის) გაიცემა ქირით სამი ოთახი, დიდის ბალკონით, სამზარეულოთი, საკუთარის ეზოთი, პატარა ხეხილიანის ბაღჩით, რომელშიაც არის წმინდა წყლიანი ჭა პირსაბანითა; მიეცემა სამზარეულო ავეჯეულობა, ქვაბებით, საავარაკოდ საკმარისი სახლის ავეჯი და ჭურჭელი. მსურველთ მიჰმართონ ამ ადრესით: Въ Телавъ, И. Зарапишвили. (15—უ.—2)

კვირას, 31 მაისს, საღამოს 7 საათზედ სათავად-აზნაურო ბანკის დარბაზში დანიშნულია

საზოგადო წლიური კრება

ქართველთა საალებ-მიცემო ამხანაგობის

„შუამავლისა“.

ეს კრება, რადგან პირველი არ შესდგა, კანონიერი იქმნება მიუხედავად იმისა, თუ რავდენი დაესწრობა მას წილის პატრონი (იხ. წესდ. § 21)“.

წევრთ ამხანაგობისას არ გაეგზავნებათ ცალკე მოწვევის ბარათები. (3—1)

რადგანაც 13 ამ თვისას დანიშნული

წლიური

საერთო კრება

„ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების“ წევრთა არ შესდგა, წევრთა საკმაო რიცხვის დაუსწრებლობის გამო, ამიტომ, საზოგადოების წესდების მე 15 §-ის თანახმად, კრება ხელმეორედ დანიშნულია 30 მაისისათვის, საღამოს 7 საათზედ, ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკის დარბაზში.

განსახილველია შემდეგი საგნები:

1, წლიური ანგარიში საზოგადოების მოქმედებისა 1897 წლისა.

2, მოხსენება სარევიზიო კომისიისა ამ ანგარიშის შესახებ.

3, სავარაუდო აღრიცხვა შემოსავალ-გასავლისა 1898 წლისათვის.

4, არჩევანი საზოგადოების ახალის წევრებისა.

5, არჩევანი სარევიზიო კომისიის წევრთა.

6, არჩევანი საზოგადოების თავმჯდომარისა და გამგეობის წევრთა. (3—უ.—1)

პირველი კერძო სამკურნალო ექიმის ნავასარდიანისა

(უკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ბ. ა. ნავასარდიანი, 11—12 საათ. სადოსტაქარო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

ე. მ. ჩიქოვანი, 9—10 საათ. სნეულებანი: შინაგანი, თვალისა და ნერვებისა.

მკურნალი-ქალი. ა. ი. რუდენკო. $10^1/_2—11^1/_2$ საათ. ქალთა სენით და ბავშვების ავადმყოფ. მსურველთ ყვაილს უცრის.

[illegible]

12 ს. ქალთა სენით და ბავშვები. ავადმყოფებს.

ი. თ. პროტასევიჩი. 12—1 საათ. ყურისა, ყელისა, ცხვირისა და გულით ავადმყოფებს.

ა. ბ. კარაპეტიანცი. $1—1^1/_2$ საათ. შინაგანი და ბავშვებისა.

ა. გ. გურკო. $1^1/_2—2^1/_2$ ს. შინაგანი, და საშარდეს ავადმყოფობის.

საღამოობით:

გ. მ. მახვილაძე.—5—6 საათ. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფ.

ბ. ა. ნავასარდიანი—$6^1/_2$—7 საათ.

ა. ნ. შპაკოვსკი—6—7 საათ. ნერვებისა (ელექტროტერაპია), ვენერიულ და კანის სნეულებას.

ტ. ი. რუდენკო—სამკურნალოში გამოიკვლევს ქიმიურად და მიკროსკოპიულად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница *Д-ра Навасардіана.*

Тифлисъ, противъ памятн. Воронцову. (წ)

ვკისრულობ

ტაქსაციას და დაფასებას ტყეებისა, დაფასებას სოფლის მამულის წარმოებისა,

პლანების აღებას და ნიველიროვკას,

ალექსანდრე გრიგოლის ძე სნექოვი. ლაბორატორიის ქუჩა, სახლი № 26.

ტელეფონი № 56.

(50—80—18).

## მთავრობის განკარგულებანი

—

ებოძათ სამსახურის წელთა შესრულებისა გამო კოლეჟსკი ასესორობა: ნუხის განყოფილების მომრიგებელ მოსამართლის თანაშემწედ ნამყოფს ზურაბიშვილს და ნახიჩევანის განყოფილების მომრიგებელ მოსამართლის თანაშემწედ ნამყოფს თავად ვეზირიშვილს; გუბერნსკი სეკრეტრობა—მიწის მზომლის უფროს თანაშემწეს ნაცვლიშვილს და კოლეჟსკი რეგისტრატორობა—მიწის-მზომელის უფროსს თანაშემწეს კოკაშვილს.

## ნეკროლოგი

† ვერა ილარიონ ჯაფარიძის ასული

კვირას, 17 მაისს, გაუმაძღარს მიწას მივაბარეთ ერთი საუკეთესო ქალთაგანი, ვერა ჯაფარიძის ასული. შვიდი-რვა წელიწადი იქნება, რაც მან საუცხოვოდ დაათავა სწავლა ქუთაისის საქალებო გიმნაზიაში და ოქროს მედალი მიიღო. ამ დროიდგან და უფრო ადრეც იწყება მისი დაუღალავი და ნაყოფიერი შრომა ოჯახისა და საზოგადოებისათვის. ღარიბის ოჯახის შვილმა ადრე დაჰკარგა მამა; მამის სიკვდილის შემდეგ მთელის ოჯახის პატრონად ის გახდა და უმამობა ოჯახს არ დაეტყო. [illegible] და სამაგალითოდ ჰზრუნავდა მისთვის. ორივე ძმა მისის წყალობით ეხლა რიგიანს გზაზე სდგას, ერთი ოდესის უნივერსიტეტში სწავლობს, მეორე სამეურნეო სასწავლებელში. უბედურმა, რაც-კი სწავლა დაასრულა, არ იცოდა, რა არის მოსვენება და დაწყნარება: პირველად მასწავლებლად იყო აქაურს ერთს საუკეთესო კერძო სასწავლებელში, შემდეგ მისცეს მასწავლებლის ადგილი საეპარქიო საქალებო სასწავლებელში. ორგანვე მეტად ერთგულისა და საქმისათვის თავ-განწირული მასწავლებლის სახელი დასტოვა. მაგრამ მარტო ამ შრომით არ კმაყოფილდებოდა განსვენებული; იმისი სათნო და კეთილ-შობილური გული ითხოვდა საზოგადო მოღვაწეობას და ეს მოღვაწეობა დაგვირგვინდა მით, რომ ამ ხუთი წლის წინად მან ორი-სხვა ქალის დახმარებით დააარსა ქუთაისის ღარიბის ხალხისათვის საკვირაო სკოლა, სადაც ეხლა სამასამდის მოსწავლე დაიარება და ოცზედ მეტი მასწავლებელი ქალი და კაცი მსახურობს. უბედური ქალი ისე იყო გატაცებული ამ კეთილის საქმით, რომ მთელ კვირა დღეებს, როცა ყოველი სამსახურის კაცი მოსვენებას და სიამოვნებას ეძლევა, ამ საზოგადო საქმეს სწირავდა. ჭეშმარიტად მისაბაძის და სამაგალითო ხასიათის და მიმართულების ადამიანი იყო. ის სრულიად არა ჰგავდა იმ პრანჭია ქალებს, რომელნიც მთელს თავისს სიცოცხლეში ხელს არ გაანძრევენ საზოგადო საქმისათვის.

აი, ამიტომაც საზოგადოებამ დიდი გულ-მტკივნეულობა გამოუცხადა მისს უბედურს ჭირისუფლებს და თანაზიანი გახდა მათის მწუხარებისა. ცხარე ცრემლით იმდურებოდნენ მისი მოსწავლე პატარა ქალები და ყვავილებით უფენდნენ იმ გზას, რომელზედაც მივასვენებდით მიცვალებულს. კუბო შემკული იყო მრავალის ძვირფასის გვირგვინებით. დიდ-ძალმა ხალხმა მიაცილა საფლავამდის, სადაც საკათედრო ტაძრის დეკანოზმა გაბ. ცაგერეიშვილმა მოკლე, მაგრამ მშვენიერი სიტყვა სთქვა: ამ სიტყვით მან საუცხოვოდ დაახასიათა განსვენებულის ცხოვრება და გამოიწვია მთელს საზოგადოებაში ცხარე ცრემლები; შემდეგ ორმა ქალმა და ორმა ახალგაზდა კაცმაც სთქვეს შესაფერი სიტყვები, ხოლო სტუდენტმა ბ-ნმა მაჭავარიანმა წაიკითხა ამ შემთხვევისა გამო დაწერილი საკუთარი ლექსი.

თ. მ.

## ახალი ამბავი

—

*** ზოგიერთ მიზეზებისა გამო რკინის გზის მინისტრმა თავ. ხილკოვმა გუშინ ვერ დაათვალიერა რკინის გზის სასწავლებლის ოთახი; თავადი ხილკოვი მიწვეულ იქმნა საუზმეზე მის იმპერატორებით უმაღლესობასთან დიდ მთავარ ნიკოლოოზ მიხეილის ძესთან.

*** დღეს, 21 მაისს, მისი მაღალყოვლად უსამღვდელოესობა საქართველოს ეგზარხოსი ფლაბიანე სწირავს მთაწმინდის მამადავითის ეკლესიაში, ამ ეკლესიის დღესასწაულ დღისა გამო. წირვა დაიწყება დილის 9 საათზედ.

*** გუშინ ტფილისის გუბერნატორმა თ. ა. ბიკოვმა მიჰმართა უმაღლესს მთავრობას და სთხოვა, მოუმატეთ ჯამაგირი ტფილისის გუბერნიების ბეითალებს, რომელთაც ეხლა წელიწადში 800—900 მანათზე მეტი ჯამაგირი არა აქვთ. ეს იმისთვის არის საჭირო, ამბობს გუბერნატორი, რომ ამიერ-კავკასიაში ყველაფრის სიძვირეა, სამსახურიც შედარებით ძნელია და ამიტომ ბეითალები სცდილობენ რუსეთში წასვლას, და რადგანაც ამის გამო ბეითალები ხშირად ანებებენ თავს აქ სამსახურსა და რუსეთში მიდიან, საქონლის ავადმყოფობა ძლიერ არის გახშირებული.

*** შაბათს, 27 მაისს, ახალგაზდა კომპოზიტორი მ. ა. ბალანჩივაძე გაჰმართავს კონცერტს, რომელზედაც შესრულებულ იქმნება სხვათა შორის იმის ოპერის „თამარ-ცბიერის“ ზოგიერთი ადგილი. კონცერტი გამართული იქმნება სათავად-აზნაურო თეატრში, მონაწილეობას მიიღებენ ქ-ნი სარაჯიშვილი, ბ-ნი კარგარეთელი, ოპერის ორკესტრი და ხორო.

⁂ ქართველ ქალთა ამხანაგობის წევრთა წლიურ კრებაზედ, 16 მაისს, გამგეობის წევრებად ქ—ნთ ე. რ. ალექსი მესხიშვილისა, ა. კ. გედევანიშვილისა, ე. თ. ასათიანისა და კნეინა ვაჩნაძის გარდა არჩეულ იქმნა ქ-ნი ჭყონიაც, რომელიც კრების ანგარიშში არა გვქონდა მოხსენებული იმ მიზეზისა გამო, რომ ის კრებას არ დასწრებია და არ ვიცოდით თანახმა იყო, თუ არა.

⁂ საგუბერნიო ბეითალის ნ. ნ. კრიდნერის მიერ წარმოდგენილ ცნობებიდგანა სჩანს, რომ წილკანის სადგურზედ ავად გამხდარა ინფლუენციით 20 ცხენი.

⁂ დღეს, 21 მაისს, ქალაქის გამგეობის სადგურში დანიშნულია კრება კომისიისა შესახებ ხორცისა და პურის ნიხრის დაწესებისა. კომისიამ უნდა განიხილოს ცნობები იმის შესახებ, რა ფასებია ეხლა ბაზარში. ამასთანავე დაწესებული იქმნება ნიხრი კამეჩისა და ხბოს ხორცზედ.

⁂ უმაღლესად დამტკიცებულ იქმნა სახელმწიფო საბჭოს დადგენილება იმის შესახებ, რომ ამიერ-კავკასიის ქალაქებს ჯარისათვის საჭირო სადგურების დასაქირავებლად 1898 წლის 1 იანვრიდგან 3 წლის განმავლობაში მიეცეთ ხაზინიდგან წელიწადში 94852 მანეთიო, საიდგანაც ქ. ტფილისს მიეცემა 68,852 მან., ქ. ქუთაისს—13,000 მან., ქ. გორს—4,000 მან., ქ. ახალციხეს—7,500 მან. და ქ. თემირ-ხან-შურას—1,500 მან.

⁂ ტფილისის საგუბერნიო მთავრობა, სადაც ჯერ არს, შუამდგომლობს იმის შესახებ, რომ დუშეთის საპატიმროს ფულით დახმარება აღმოეჩინოსო.

⁂ ტფილისის საბჭოს დადგენილება, რომ ყოველ-გვარ ხორცს დამღა ჰქონდეს დასმულიო, ძალაში შევა 1 ივნისიდგან და ამ დღიდგან დაწყებული ყოველ-გვარი ხორცი, ქალაქის საყასბოდგან იქნება წამოღებული, თუ სხვა ადგილიდგან, ქალაქის გამგეობის ცამღით იქმნება დადამღული.

⁂ სასჯულო საქმეთა მინისტრმა შეატყობინა ტფილისის სამოსამართლო პალატას, რომ პალატის განაჩენი იმის შესახებ, რომ ტფილისის საკრედიტო საზოგადოების თავმჯდომარედ ნამყოფს თავ. ნაპოლეონ ამატუნს ჩამოერთვას ყოველივე ღირსება და გაგზავნილ იქმნას ტომსკის გუბერნიაში, უმაღლესად დამტკიცებულ იქმნაო.

⁂ 19 მაისს, ქალაქ განჯაში, ტფილისის სამოსამართლო პალატის სესსიამ გაარჩია საქმე მაზრის უფროსის თანაშემწედ ნამყოფის რაფიბეკოვისა, რომელსაც ის ბრალი ედებოდა, რომ თანამდებობის ასრულების დროს დანაშაულობა ჩაიდინაო. სასამართლომ გარდაუწყვიტა რაფიბეკოვს ყოველისავე პირად უფლების და უპირატესობის ჩამორთმევა და ტომსკის გუბერნიაში საცხოვრებლად გაგზავნა.

⁂ სასოფლო სამეურნეო მეცნიერების კანდიდატმა ს. ზ. მირზოევმა გადასცა გამგეობას განცხადება, რომელშიაც სთხოვს: შეიტანეთ ქალაქის საბჭოში მოხსენება იმის შესახებ, რომ მან რამე ღონე იღონოს ტფილისში ნავთის ვაჭრობის გაწესრიგებისათვის, რადგანაც, მირზოევის სიტყვით, ეს ვაჭრობა 4-5 კაცის ხელშია, რომელნიც განგებ უმატებენ ფასს და ამით ტფილისის მცხოვრებლებს ერთი ორად მეტს ართმევენ.

⁂ რუმინიის მთავრობა ჰგზავნის ოდესსასა, კავკასიასა და იმიერ-კასპიის ოლქში პოლკოვნიკს ბოტიანს და სამხედრო ბეითალს ცხენების საყიდლად რუმინიის ჯარისათვის.

⁂ ზაქათალის ოლქის ბაზარის სასოფლო საზოგადოება შუამდგომლობს, რომ მთავრობამ ახალ მოსავლამდის თავის გამოსაკვებად უსარგებლო სესხი მოგვცეს საკვებისა და დასათესს თესლის შესაძენადაო.

⁂ გაზ. „კავკასის“ სიტყვით, მაისის ქარებისა და სეტყვისაგან სიღნაღის მაზრაში შემდეგი სოფლები დაზარალდა: კაკაბეთი—2,000 მან., საქობო—7,000 მან., მაშნაარი—6,000 მან., ვაქირი—7,000 მან., ანაგა—5000 მან. და ქალაქი სიღნაღი—3000 მან.

⁂ გაზეთები სწერენ, რომ ამ დღეებში ქ. ოდესსას ჩამოვიდა პროფესორი კრასნოვი, რომელიც საუფლისწულო უწყების მინდობილებით ხელ-მეორედ მიდის ჩინეთსა და იაპონიას ჩაის მოვლა-მოყვანის საქმის შესასწავლად, რათა იქ შეძენილ ცოდნისამებრ თვალ-ყური ადევნოს ჩაის მოყვანას ჩაქვის საუფლისწულო მამულშიო.

⁂ ფოთი. 18 მაისს, $2^1/_2$ საათზედ, ბათუმისაკენ მიმავალის გემით „კონსტანტინეთი“ შემოიარა გზათა მინისტრმა ბ-ნმა ხილკოვმა. ჩვენ საპატიო მოქალაქეს, მაგრამ იშვიათ სტუმარს, ნავთ-სადგურში აუარებელი ხალხი მიეგება პურ-მარილით. პაპანაქება სიცხისა გამო ქალაქში არ გაუვლია, მხოლოდ გემზედ ინახულა ჩვენი ქალაქის თავი ნ. ნიკოლაძე, რომელმაც რამდენიმე ქაღალდი და ნავთ სადგურის ახალი გეგმა წარუდგინა. სრულმა $1^3/_4$ საათმა გასტანა მას შემდეგ, რაც ქალაქის მოურავმა მინისტრთან საქმეების მოხსენება დაიწყო. შემდეგ ბ-ნი მინისტრი გემით ბათუმისაკენ გაემართა.

ამ თვის 17 გავისტუმრეთ ეპისკოპოსი გრიგოლი, რომელსაც სამწყსომ საჩუქრად კვერთხი მიართვა.

დღეს, 19 მაისს, დილით მობრძანდა ახალი ეპისკოპოსი ალექსანდრე. პატივცემულს მოხუცს რკინის გზის სადგურზედ და ეკლესიაში მრავალი ხალხი მიეგება, რომელთა შორის იყვნენ ქალაქის მოურავი ნ. ი. ნიკოლაძე, ბ-ნი გოვორუხინი და თავ. ყიფიანი (მსაჯული). საყდარში დეკანოზმა მაჭარიავმა რუსულის სიტყვით მიმართა ეპისკოპოსს და აღნიშნა მის 50 წლის სასულიერო-მთავრო ასპარეზზედ მოღვაწეობა. შემდეგ ყოვლად სამღვდელომ წარმოსთქვა: „რადგან აქ სულ ქართველობაა, უმჯობესია სიტყვა გასაგებ ენაზედ იყოს წარმოთქმულიო“, და ქართულად, გრძნობით სავსე სიტყვა წარმოსთქვა, აღნიშნა, რა გავლენა აქვს სარწმუნოების მტკიცედ დაცვას და სხ.

⁂ ახალ სენაკი. სწორედ საქმე გაგვიჭირეს სიმინდის მყიდველ გაიძვერა ახალ-სენაკელ ჩარჩ ბერძნებმა. ეს ვაჟბატონები შიგ შუა დაბაში ანიავებენ სიმინდს სანიავებელ მანქანით, რის გამოც საშინელს ბღლვირს და კორიანტელს აყენებენ. როცა სიმინდის ნიავებას დაიწყებენ, იმ ქუჩის ახლო შეუძლებელია გავლა. თვალ-პირ-კისერი ევსება ადამიანს სიმინდის ჩეჩოთი. ამ საგანზედ ბევრჯელ დაწერილა გაზეთებში, მაგრამ ვინა გვყავს პატრონი? ნეტავ გაგვაგებინა, შარშან ამის შესახებ შედგენილმა ოქმმა დავიწყების გოდორში ამოჰყო თავი და იმიტომ არიან ეს ბერძნები გათამამებულნი?.. სასურველია, ვისიც ჯერ არს, ეხლა მაინც ყურადღება მიაქციონ ამ საქმეს. მით უფრო, რომ სოფლებში ათასგვარი მოარულია და ადვილად შესძლებელია სიმინდის დარდუბალამ აქაც გაიჩინოს რამე...

⁂ დ. ჩოხატაური. ამ ჩვენს პატარა დაბაში გამართული გვაქვს სამკითხველო, რომლის არსებობაც დამოკიდებულია კერძო შემოწირულებებზედ, მაგრამ კერძო შემოწირულება ვერ აკმაყოფილებს სამკითხველოს მოთხოვნილებას. ამისათვის სამკითხველოს სასარგებლოდ მოიწადინეს წარმოდგენის გამართვა აქაურმა მასწავლებლებმა.—აარჩიეს პიესა, იშოვეს მანდილოსნები, რომელთაც წარმოდგენაში მონაწილეობის მიღების სურვილი განაცხადეს, მაგრამ ერთმა გარემოებამ შეუშალა ხელი წარმოდგენის გამართვას. სახელდობრ იმან, რომ ერთმა ვაჟბატონმა შთააგონა მანდილოსნებს: სცენაზე გამოსვლა დიდად სამარცხვინო და სისაძაგლე რამ არისო და, ჩვენდა საუბედუროდ, მანდილოსნებმა უარი განაცხადეს, მონაწილეობას ვერ მივიღებთ წარმოდგენაშიო. ამ გვარად ჩაიშალა კეთილის აზრით დაწყებული საქმე.

⁂ სამეგრელო. ამ ჟამად სამეგრელოში იშვიათია ისეთი სოფლის საზოგადოება, რომ რაიმე ავადმყოფობა არ იყოს. უფრო ხშირია ყვავილი, კისერა და წითელა, რომლის საწინააღმდეგოდ საბრალო მდაბიო ხალხი ვერავითარს წამლობას ვერა ჰბედავს. ამით სენი უფრო-და უფრო მაგრად ფეხს იდგამს და ზარალსაც იძლევა. ფილტვების ანთებამაც გააჭირა საქმე. ვინც ფილტვების ანთებით ავად გახდა, ოცში ხუთიც არ მორჩენილა. წელს თითქო სეზონიაო ფილტვების ანთებისა, ყველა იმასა სჩივის, ყვავილი შეჰყროდა, მირჩევნოდა, ფილტვების ანთებასა და არ ვიცი, ჩემი ავადმყოფი გაუძლებს თუ არა ამ სენსაო...

ყველგან აიწია სიმინდის ფასმა, მაგრამ მაინც ვერ იქმნა და ვერა, სამეგრელოს არა ეშველა რა. სოფლად ფუთი სიმინდი 35—40 კაპ. ძლივ ძლივობით გადის. ხოლო დაბებში, მაგალ. ახალ-სენაკში ჰყიდულობენ 43—45 კაპ. თუ სხვაგან 55 კაპ. იყიდება, სამეგრელომ ნეტავ რა დააშავა? როგორც ამბობენ, ჩვენის სიმინდის მოვაჭრე ბერძნები არიან თურმე ამისი მიზეზი. ნეტავი როდემდის ვიქნებით ამათი სათლელი დუმა? ნუ თუ არსაიდგან იქნება, რომ ამათს ხრიკებს თავი დავახწიოთ...

⁂ სურამი. ალექსანდრე სოლომონის ძის როინაშვილის გარდაცვალებამ დიდად დაალონა აქაური ინტელიგენცია. განსვენებულმა ამ ოთხის წლის წინად, როდესაც ის საზაფხულოდ სურამში სცხოვრობდა, დიდად შეუწყო ხელი უფასო სამკითხველოს დაარსების საქმეს სურამში და ამ სამკითხველოს წევრად ითვლებოდა სიკვდილამდის.

⁂ დღეიდგან ამიერ-კავკასიის რკინის გზის სამმართველოში მუშაობა დაიწყება დილის 8 საათიდგან და დასრულდება ნაშუადღევის 2 საათზედ.

⁂ ტფილისის სამოსამართლო პალატის უფროსი თავმჯდომარე ვრასსკი პეტერბურგიდგან ტფილისს ჩამოვა 25 მაისს.

## „ბავშვების მოკეთის“ შესახებ.

ალ. ნათაძემ ფასი დაუკლო თავისს სახელ-მძღვანელო წიგნს „ბავშვების მოკეთე“-ს; მაგრამ საერო სკოლებისათვის იგი, მაინცა და მაინც, მეტ ბარგად იქნება. ან „დედა ენა“ უნდა იყოს სასწავლებლებში,

# ფელეტონი

## უნაყოფო შრომა

„სალარო ცოდნისა“, რუსულ-ქართული ენციკლოპედიური ლექსიკონი. ივ. როსტომაშვილის რედაქციით. წიგნი I-ლი. Русско грузинскій энциклопедическій словарь, подъ редакціей Ив. П. Ростомашвили, т. I-ый.

(დასასრული*)

როგორც დაინახეთ თქვენის ბედნიერის თვალით, ბ-ნი როსტომაშვილი ამბობს: „ჩვენის ქვეყნისა და უცხო ქვეყნის შესახებ გაფანტულ ცნობებს“ ჩვენ მოვუყარეთ თავიო. რაც აქეთ-იქით გაფანტული იყო, ის დღეს ჩვენ შევკრიბეთო. დიდება და სახელი ამ „დიადის“ ღვაწლისა მხოლოდ ოდნავ გაუზიარა ბ-ნს ი. ალხაზიშვილსა და დარეჯანაშვილს.

ბევრი გულ-უბრყვილო ქართველი მიიღებს ბ-ნ როსტომაშვილის სიტყვებს პიტალო ოქროდ, იტყვის: დახედე, დედავ, რა შრომა გაუწევიაო!

მაგრამ ჰოი რომ საქმენი როსტომაშვილისანი გაამტყუნებენ სიტყვათა მისთავე. ჩვენ ბ-ნ ივ. როსტომაშვილსავე დავიმოწმებთ, რომ მან-კი არ „მოუყარა და რიგზედ დააწყო აქეთ-იქით გაფანტულნი ცნობანი ჩვენისა და უცხო ქვეყნის შესახებ“, არამედ სხვებმა, რომელთა სახელი დიდის მოწიწებით, დიდის მადლობით უნდა მოეხსენიებინა წინასიტყვაობაში.

მაშ ვახსენოთ ღმერთი და გადავშალოთ „სალარო ცოდნისა“. შორსაც ნუ წავალთ, პირველსავე გვერდზედ პირველი სიტყვა გავსინჯოთ და შევადაროთ სხვა ლექსიკონებს.

| „სალარო ცოდნისა“ ივ. როსტომაშვილისა. | Энциклопедическій словарь, подъ редакціей заслуженнаго профессора И. Е. Андреевскаго. |
| --- | --- |
| გვ. 1. | გვ. 1. |
| A—ა, პირველი ასო ჩვენი და ყველა ევროპიულ ანბანისა, გარდა ამგარულ (აბაშური) დ რუნიკულისა (სკანდინავური). ქართულ ანბანში ანი, სლაეიანურში აზ, ფინიკურში—ალეფ და სხვ. | А—первая буква всѣхъ европейскихъ алфавитовъ, за исключеніемъ руническаго. Въ славянской азбукѣ она носитъ названіе азъ; въ финикійскомъ алфавитѣ—алефъ... |
| | ქართულ - რუსული ლექსიკონი ჩუბინაშვილისა. |
| რიცხვში ნიშნავს ერთს და ფულის ანგარიშში უნიშნოთ—ერთ ფულს, ხოლო ნიშნით—ერთ თუმანს... ქართულ ენაში ა, ხმარებული საკუთარი სახელების ბოლოში, შესცვლის მათ კნინობითად ან შეურაცხყოფითად; მაგალითად, საზოგადოდ ითქმის: დავით სარდალი, სოლომონ მსაჯული, მარიამ ბატონიშვილი, თამარ მეფე, ხოლო კნინობითად იტყვიან: დავითა ანუ დათუა მზარეული, სოლომონა ხაბაზი, მარიამა მექათმე, თამარა დალალი და სხვა. | ა, პირველი ასო ქართულის ანბანისა, წოდებული ან. რიცხვში დანიშნავს ერთსა და ფულის ანგარიშში ნიშნითურთ ერთს თუმანსა. ბოლოს საკუთართა სახელთა ხმარებული შესცვლის მათ კნინობითად ან შეურაცხებითად, მაგალ. საზოგადოდ ითქმის: დავით სარდალი, სოლომონ მდივანბეგი, მარიამ ბატონიშვილი, თამარ მეფე, გარნა კნინობითად: დავითა და დათუა მზარეული, სოლომონა ხაბაზი, მარიამა მექათმე, თამარა დალალი და სხვა. |
| რთულ სიტყვებში ა ი-ს მაგიერ, მაგ. გველ-თევზი—ითქმის და იწერების გველ-თევზა, ძაღლ-ნიორი—ძაღლ-ნიორა, ხარის-თვალი—ხარის-თვალა, ორცხობილი—ორცხობილა და სხვა. ა-ს მაგივრათ ზოგჯერ ხმარობენ ე-ს და ო-ს, მაგ: წავიდა—წევიდა, წაიყვანა—წეიყვანა, წაეკიდა—წეეკიდა, ახლა—ეხლა და სხვა. მაიტანა—მოიტანა, მამეახლა—მომეახლა და სხვა. | ბოლოს რთულთა სახელთა მრავალჯერ ჰზის ი-ს მაგიერად, მაგალ: გველ-თევზი, ძაღლ-ნიორი, ნარის-თვალი, ორცხობილი. ითქმის და იწერების: გველ-თევზა, ძაღლ-ნიორა, ნარის-თვალა, ორ-ცხობილა დ სხვა. ა—მრავალჯერ შეიცვლების მდაბიურს ლაპარაკში ე-ზედა, მაგალ: წავიდა, წევიდა, წაიყვანა, წეიყვანა, წაეკიდა, წეეკიდა, ახლა—ეხლა. ო-ს მაგიერად: მოიტანა, მაიტანა, მამეახლა და სხვა. |

ჰხედავთ ახლა ხომ, ვის შეუკრებია გაბნეულნი ცნობანი! დავით ჩუბინაშვილი, საბა ორბელიანი, პროფ. ანდრეევსკი და მისნი თანამშრომელნი,—აი ნამდვილი „სალარო ცოდნისა“, საიდგანაც უღია და უზიდნია მასალა პატივცემულს როსტომაშვილს. და... ერთის სიტყვით-კი არ მოიხსენია წინასიტყვაობაში, ეს ჭეშმარიტნი „შემკრებელნი“ ჩვენისა და უცხო ქვეყნების ცნობებისა. სადაც ასეთს წყაროებზედ სდუმს ავტორი, იქ ალხაზიშვილი და დარეჯანიშვილი რაღა ანგარიშში მოსატანი იყვნენ!

მაგრამ ხომ მოგეხსენებათ, რასაც კაცი თავისს თავს უზამს, ქვეყანა ვერ უზამსო. როსტომაშვილმა ამ დუმილით, წყაროების არ-აღნიშვნით, სულ აბრუ გაუტეხა თავისს შრომას. ეხლა ჩვენ ეჭვის თვალით ვუცქერით ლექსიკონში მოქცეულ ქართულ ისტორიის ცნობებსაც: ვინ იცის, ვისი დაწერილებია, რაოდენად სანდო ისტორიკოსებისა!

ვერც იმას იტყვის ჩვენი ენციკლოპედისტი, რომ ასეთი სალიტერატურო ეტიკა არ ვიცოდიო. იმავე ანდრეევსკის ლექსიკონის წინასიტყვაობაში, რომლიდგანაც სთარგმნა თავისი „სალარო“, ის შეხვდებოდა დამსახურებულ პროფესორის ასეთს გულახდილსა და მართალს მოთხრობას.

„საფუძვლად ჩვენის ლექსიკონისა ვიღებთ ნემეცურ ლექსიკონს ბროკჰაუზისას. ჩვენ იქიდგან პირდაპირ ვთარგმნით ყველაფერს, რაც-კი მოგვეწონება და რაიცა არ ითხოვს შეცვლას. ხოლო ის წერილები, რომელნიც ჩემის ფიქრით, თხოულობენ შეცვლას, და-

*) იხ. „ივერია“ № 104.

ეროვნული ბიბლიოთეკა

როგორც ელემენტარული სახელმძღვანელო, ან კიდევ ,,ბავშვების მოკეთე“. რადგანაც მასწავლებელნი ჯერ-ჯერობით, ვერ დასთმობენ ,,დედა ენას“ და ვერ გასცვლიან ,,ბავშვების მოკეთეზე“, ამიტომ მისი გამოწერა მეტ ბარგადა ხდება სკოლებისათვის.

რად უნდა სკოლას ორი ერთ პროგრამიანი სახელმძღვანელო წიგნი, მით უფრო, რომ ეხლა სკოლებში წიგნები ფულით ეძლევათ ბავშვებს და ცოდონი იქნებიან, რომ მასწავლებელმა ორი მსგავსი წიგნი შეასყიდოს. სკოლამ ის წიგნი უნდა ამოარჩიოს, რომელიც სჯობია და სასარგებლო არის. მასწავლებელნი კი, მე მგონია, უპირატესობას „დედა-ენას“ მისცემენ, და აი რათა: „დედა-ენა“ ბევრით დიდია ,,ბავშვების მოკეთეზედ“ (ჩვენ ამ მარტო ერთ მხარეს აღვნიშნავთ) და სასწავლო მასალა დიდ ხანს გასტანს. ბავშვები კი ,,დედა-ენას“ თითქმის მეორე წელიწადს ათავებენ; მესამე წლისათვის რჩება მარტო სასულიერო განყოფილება. ამ გვარად, ბავშვების უმეტესი ნაწილი მესამე განყოფილებაში უსახელმძღვანელოდ არის; მასწავლებელი ხან ,,ჯეჯილიდგან“ აკითხებს, ხან სხვა საყმაწვილო წიგნებიდგან და ასე აჩანჩალებს მესამე წელიწადს, რადგანაც ,,ბუნების კარის“ ხმარების ნება არა აქვთ საერო სასწავლებლებს.

თუ-კი ,,დედა ენა“, ბევრად მოზდილი ,,ბავშვების მოკეთეზედ“, არა ჰყოფნის სამის წლის კურსად, ,,ბავშვების მოკეთე“ ხომ ერთ ლუკმადაც არ ეყოფა. მერე რაღა ჰქმნან ბავშვებმა? ბუზები თვალონ? რაღა თქმა უნდა, ახალი რამ სახელმძღვანელო ამოიჩინონ, და ხომ უფრო ძვირად დაუსვა ალ. ნათაძემ ბავშვებს თავისი წიგნი, თუმცა იგი ჰპირდება, რომ დავაიაფეო. რაღა დაიაფებაა, თუ ერთის წიგნის მაგივრად ორის წიგნის ყიდვა მოუნდებათ ბავშვებს?

უფრო დიდად საჭირო არის, რომ ალ. ნათაძეს შეედგინა მესამე განყოფილებისათვის ცალკე წიგნი, რომელიც იქნებოდა „დედა-ენის“ გაგრძელება და არა შეუფერებელი კონკურენცია გაეწია მისთვის. ან კიდევ, შეედგინა ისეთი სახელმძღვანელო, რომელიც ბავშვებს სამის წლით ჰყოფნოდათ. იქნება ამ უკანასკნელს შემთხვევაში მასწავლებელთ დაეთმოთ „დედა-ენა“ და შეეძინათ ეს ახალი წიგნი, თუ გვარიანად იქნება შედგენილი.

თუ ბ-ნ ალ. ნათაძეს არ შეუძლიან გაგრძელება დასწეროს „დედა-ენისა“ და არც იმაზედ დიდი სახელმძღვანელო შეადგინოს, იმ შემთხვევაში სხვამ მაინც მოჰკიდოს ამ საქმეს ხელი და სისრულეში მოიყვანოს, და ერთხელ და სამუდამოდ აღჭურვოს ჩვენი სკოლები სამის წლის შესაფერის სახელმძღვანელოთი. თორემ მეორედ გამოცემა „ბავშვების მოკეთისა“, იმ აზრით, რომ საერო სკოლებში გავასაღებო, ტყუილი იქნება, რადგანაც მასწავლებელნი, ჩვენ გვგონია, ადვილად არ მოტყუვდებიან და სიფრთხილითა და სინიდისიერად მოექცევიან სახელმძვანელოს არჩევისა და ბავშვების სწავლის საქმეს.

აი, ჩვენი აზრი ეს არის ბ-ნ ალ. ნათაძის მოწოდების საპასუხო „ბავშვების მოკეთის“ შესახებ, თუმცა სრული არ არის, რადგანაც დანარჩენზედ ბევრი დაწერილ-თქმულა და ჩვენ აღარ გავიმეორებთ.

სარიძე

---

## წერილი კახეთიდგან

გლეხთა აუცილებელ გარდასახადის ვადის შეუფერებლობის გამო.

ბევრი აუცილებელი გარდასახადი აწევს გლეხ-კაცს კისერზედ და მრავალი მიზეზისა გამო ხშირად ვერ იხდის, რჩება გარდასახდელი, თუმცა გარდასახადის დარჩენა ძვირად უჯდება. სხვა მიზეზთა შორის მთავარ მიზეზად უნდა ჩაითვალოს ვადის შეუფერებლობა გარდასახადისა. თუ დრო შეუფერებელია გარდასახადისა, გლეხ-კაცს ამ შემთხვევაში გარდახდაც და გარდუხდელობაც უორკეცებს გარდასახადსა. მაგალითად, გლეხ-კაცს მოსთხოვეს გასვლა ბეგარაზედ სწორედ მაშინ, როცა იმას დიდი საქმე აქვს. ის დაიმალა მინდორში და არ გავიდა. ამისათვის მამასახლისი იმას არბევს, ე. ი. იმისის სახლიდგან გაიტანენ რომელსამე საჭირო ავეჯსა და არ დაუბრუნებენ, ვიდრე არ გარდიხდის რამდენსამე აბაზს, რის შემდეგ ბეგარა ისევ ემართება. ამ ნაირად ბეგარაც უნდა გარდიხადოს ისევ და რამდენიმე აბაზიც, თუმცა ყოველ წლივ მოეპოვება იმისთანა დრო, როცა ძალიან ნაკლებადა აქვს საქმე, ან სულ არა აქვს, სცდება და თუ ამ დროს გაიყვანს მას მამასახლისი, არც აბაზები დაეხარჯება და არც საქმეს მოსცდება.

ფულად გარდასახადის ვადასაც დიდი მნიშვნელობა აქვს. თითოეული გლეხი ფულს ჰშოულობს ან ნაწარმოების გაყიდვით, ან მუშაობით. რადგანაც გლეხის ნაწარმოები სხვა-და-სხვა ნაირია, ამიტომ მათი ფულად გარდაქმნაც სხვა-და-სხვა დროს ხდება. ზოგი ღვნის გაყიდვით შოულობს ფულსა, ზოკი ქერის გაყიდვით, ზოგი პურის გაყიდვით, ზოგი სიმინდის გაყიდვით, ზოგი მსხვილ საქონლის გაყიდვით, ზოგი ცხვრის გაყიდვით, ზოგი ბატკნისა, ღორის გაყიდვით და სხვ. ყველა ჩამოთვლილი და ჩამოუთვლელი ნაწარმოები სხვა და სხვა დროს იყიდება. ცხვარი იმ დროს არ იყიდება, როცა ბატკანი და სხვ. აგრეთვე მუშაობით სხვა-და-სხვა დროს იშოვება ფული. რასაკვირველია, ერთსა და იმავე სოფელში ერთი გლეხი მისდევს ღორის გაშენებას, მეორეს ცხვარი ჰყავს, მესამე— ვენახიდგან მოელის ფულის შეძენას და სხვ., რის გამოც გარდასახადის ერთს რომელსამე ვადაზედ მოგროვება უეჭველად ზოგისთვის ხელსაყრელია და მომატებულ რიცხვისათვის შეუძლებელი ხდება. ამათ უნდა ივალონ, თუ გარდასახადს გაისტუმრებენ და ეს გარემოება უორკეცებს, რადგანაც აღებულ ვალში სარგებელს იმოდენას აძლევს ნაწარმოებით, რომ მისი ჯეროვანი ფასი ხშირად თავნსაც გადააჭარბებს ხოლმე.

ეს გარემოება შემჩნეულია მთელის რუსეთის იმპერიაში. პეტერბურგის თავისუფალმა საეკონომიო საზოგადოებამ დიდი ყურადღება მიაქცია ბ-ნი განეიზერის მოხსენებას, რომელმაც გარდაწყვეტით სთქვა, რომ ,,დღევანდელი წესი გლეხ-კაცებისაგან გარდასახადის აღებისა ფრიად მავნებელია სასოფლო მეურნეობისთვისაო. 2) ის საშუალებანი, რომლებსაც ჰხმარობენ გარდასახადის დროს, ეწინააღმდეგება კანონს და აშკარა თვინებობას მოასწავებსო; 3) ეს საშუალებანი ჰრყვნის კანონიერების გრძნობას ხალხში და იწვევს იმათს ღრტვინვას, რისთვისაც საჭირო ხდება სამხედრო ძალაო; 4) ეს საშუალებანი მიმართულია არა მარტო ქონებისა, არამედ გარდამხდელის პიროვნების წინააღმდეგაც; 5) ამ საშუალებათ მხედველობაში არა აქვს დავალიანების მიზეზები; 6) სასტიკი ღონისძიებანი, რომლებსაც გარდასახადის აღების დროს ხმარობენ, იწვევს ნაწარმოების ძალ-დატანებით გაყიდვას, ძალდატანებით სესხის აღებას მოვახშეებისაგან, სამუშაო ხელის ძალდატანებით გაყიდვას და სხვ.“

ამ გარემოებას მიაქცია ყურადღება ყვარლის ნაწილის ბოქაულმა ბ-ნმა გომელაურმა და შესაფერი ღონისძიება გამოსძებნა: თითოეულ სოფლის საზოგადოებას თავისს საბოქაულოში ამოარჩევინა იმისთანა კეთილ-სინიდისიანი კაცები, რომელთაც უნდა დაუნიშნონ ყოველს კომლს გარდასახადის ვადა; ეს ვადა სრულიად უნდა შეეფერებული იყოს ამ კომლის მოსალოდნელ შემოსავლის დროსთან. ერთის შეხედვით ეს განკარგულება ბ-ნის გომელაურისა იქნება არც-კი რამე ჩააგდოს მკითხველმა, მაგრამ თუ მიიღებს მხედველობაში, რომ გარდახდევინების დროს შეუფერებლობით გლეხ კაცი უეჭველად ან ერთი-ორად ვალიანდება, ან ნახევარ ფასად ჰყიდის ნაწარმოებსა და ზედ-მეტად კიდევ რამდენჯერმე ირბევა, რაც, ზნეობითის ტანჯვის გარდა, ბევრი აბაზიც უჯდება, თუ ყველა ამას ზედ დაუმატებს, რომ ვადის შეუფერებლობა უფრო ღარიბებზედ ჰმოქმედებს, რადგანაც პირველად მათგანა ჰკრეფენ ხოლმე გარდასახადს და ბოლოს შეძლებულებისაგან, დარწმუნდება, რომ ბ-ნის გომელაურის მიერ გამოძებნილი ღონისძიება დიდს შეღავათს მისცემს გლეხ-კაცობას.

ხშირად მოხდება ხოლმე, რომ ხარჯის ამკრეფი სწორედ იმ კომლებს უვლის, რომელთა შესახებ დარწმუნებულია, რომ გროში ფული არ მოეპოვებათ და ვერც სესხით გახდებიან რასმე იმ დროს. რად იქცევა ასე ხარჯის მკრეფავიო? იკითხავს განცვიფრებული მკითხველი. სულ უბრალო მიზეზით, ბატონო, და სამწუხარო ის არის, რომ ეს მიზეზი ხშირად განმეორდება ხოლმე. თურმე ნუ იტყვით, ხარჯის მკრეფავს სადილის გამართვა მოუნდომებია თავისის თავისათვის და მახლობელთათვის! ჩამოივლის ჯიბე გაფხეკილი და უფრო ხშირად უკაცო კომლებს მოსთხოვს გარდასახადს, რაკი არ მისცემენ, გამოიტანს სახლიდგან გირაოს (ამ ნაირად სახლიდგან გამოტანილს ავეჯს გირაო ჰქვიან, რაკი დუქანში დაგირავება არ ასცდება) და ასე მოგროვებულს გირაოებს წაიღებს დუქანში, დააგირავებს და სადილი მზად არის იმისთვის და მის თანამხლებელთათვის. ჯერ მარტო ეს რომ მივიღოთ მხედველობაში, მაშინაც ბ-ნ გომელაურის ახალი ღონისძიება გარდასახადის აღებისა დიდის შეღავათის შემტანია გლეხის ცხოვრებაში.

თქმა არ უნდა, იმისთანა გლეხთა ყოფა-ცხოვრებაში ჩახედებული ბოქაული, როგორიც არის ბ-ნი გომელაური, არც ბეგარაზედ გაიყვანს გლეხ-კაცს უდროოდ. ასეც არის, როცა-კი მისგან არის დამოკიდებული ბეგარაზე გასაყვან დროს დანიშვნა.

ნაღიკვრელი

---

## დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბები)

**სოფ. ზემო-ნიქოზი**, 15 მაისა. ს. ზემო ნიქოზი მდებარეობს დაბა ცხინვალზედ ორ-სამ ვერსის სიშორეზედ. თუმცა კი ახლოა კარგა მოზრდილ დაბაზედ, სადაც იქაურ გლეხ-კაცობას ხშირი შემთხვევა აქვს მისვლა-მოსვლისა, რადგან აქაურის სოფლების საბაზრო ადგილი ერთად-ერთი ცხინვალია, მაინც არ ითქმის, რომ ზემო-ნიქოზელები გაკეთებული ხალხი იყოს, თუმცა არც ისე დაცემულები არიან,

---

მატებას,—მათ ჩვენ შევცვლით და შევავსებთ სხვა ცნობილ ლექსიკონებიდგან: ინგლისურიდგან, ფრანგულიდგან, ძველ-რუსულ ლექსიკონებიდგან და ბოლოს საკუთარს სამეცნიერო ცოდნასაც დავიხმარებთ“.

აი როგორ ჰფიქრობენ, ჰშრომობენ და ჰმოქმედობენ ჭეშმარიტნი მოღვაწენი და მუშაკნი!

თუმცა როსტომაშვილის წიგნი „ხუთჯერ დიდი იქნება ჩუბინაშვილის ლექსიკონზედ“, მაგრამ ბევრი რამ პირველში არ იპოვება ისეთი, რაც მეორეში არის. მაგალითებრ, ასო ანზედ ჩუბინაშვილი გვიწერს:

„A—კავშირია: და, ცა, კი.

A—შორის დებული: ჰა, ჰე;

Aa! შორისდებული: ჰეჰე, ჰოჰო!“

რუსული A რომ გრამატიკულად „კავშირიც“ არის და „შორისდებულიც“, ეს, რასაკვირველია, ბროკჰაუზის ლექსიკონშიაც აღნიშნულია. როსტომაშვილის ენციკლოპედია-კი ამისას არას ამბობს.

ჩვენ შევადარეთ „სალარო ცოდნისა“ რაფ. ერისთავის ლექსიკონსაც და დავსკვენით, რომ ამ „ქართულის“ წყაროთი სამწუხაროდ, არ უსარგებლია ავტორს. მაგალითებრ, ანზედ ერისთავს აქვს სიტყვები: Астрагалъ — ღვლერძა (65), Астра — ვარსკვლავა (17), Аррорутъ Остъиндскій — ქურქუმა (64), Арженикъ — ჯორის ძუა (86), Анютины глазки — ქელეშბალახი (62), Антипка — ბალამწარა. ეს სიტყვები „ცოდნის სალაროში“ ვერ ვნახეთ. გარდა ამისა, რ. ერისთავი ამბობს, Акула ქართულად „ზვიგენიაო“, როსტომაშვილი-კი: Акула — დიდი თევზიაო. „დიდი თევზი“ განა შეიძლება საკუთარი სახელი იყოს თევზისა? მაშ რად არ გაისარჯა „ცოდნის სალაროს“ ავტორი და „ქართული წყაროები“ ყველა არ გასინჯა, რა ბევრი ჩვენა გვაქვს?

ახლა ეს მიბძანეთ, ქართველმა მკითხველმა რა გზით უნდა იპოვნოს „ცოდნის სალაროში“ თუნდა ასეთი ქართული სიტყვები: აბეზარი, აბეჩხარი, აბლანდვა, აბრა, ალო, ალნაქსი, ალმურკნა და სხვ. ვისაც უნდა ამ სიტყვების „ენციკლოპედიურად“ გაგება, მან უნდა ჯერ ჩუბინაშვილის „ქართულ-რუსულ“ ლექსიკონს მიჰმართოს და გაიგოს, რას ნიშნავენ ეს სიტყვები რუსულად, და მხოლოდ ამის შემდეგ შეუძლიან ეძიოს აზრი იმ რუსულ სიტყვისა „ცოდნის სალაროში“. ასე რომ ჩუბინაშვილი მაინცა და მაინც აუცილებელი თანამოგზაური ხდება „ცოდნის სალაროსი“. ესა სწადდა ნუ თუ როსტომაშვილსაც?

დაწვრილებით ლექსიკონის განხილვაში არ შევალთ, რადგან იგი თარგმნილია ბროკჰაუზიდგან და რომ ბ-ნ როსტომაშვილს თარგმნა რუსულიდგან შეუძლიან,—ამისი ეჭვი ჩვენ თავისს დღეში არა გვქონია. რაიცა შეეხება მის „საკუთარს შრომას“, ცნობებს ქართულის ისტორიისა და ცხოვრებიდგან, რასაკვირველია, უფრო საინტერესოც ლექსიკონში ეს მასალაა. მაგრამ ამ მასალასაც ორი დიდი ნაკლი აქვს. ერთი, რომ ყველგან წყაროები არ არის ნაჩვენები, და მკითხველმა არ იცის, იგი თხზულებაა ენციკლოპედისტის როსტომაშვილისა, თუ ნასესხებია უფრო სარწმუნო წყაროებიდგან. წარმოიდგინეთ, რომ სტატისტიკურ, გეოგრაფიულ, ეტნოგრაფიულ, ისტორიულ ცნობების შესახებ ასეთი ეჭვი დაებადოს მკითხველს, მაშინ რაღა ფასი აქვს ლექსიკონს. მეორეც ისა, რომ ეს ორიოდე ჭეშმარიტად საინტერესო ცნობა დაფლულია, დამხრჩვალია ისეთს ბუჩოში, როგორიც არის თუნდ ასეთი „ენციკლოპედიური ცნობები“: „Агастера — საწყაო იონეთის კუნძულებზედ=0,09 ვედროს“. ანუ: Андрусово — ანდრუსოვო, სოფ. სმოლენსკის გუბერნიაში, ცნობილია შერიგებით რუსეთსა და პოლონეთს შუა 3 იანვარს (ჰხედავთ, რა ნაირი „სინამდვილეა“?!.) 1667 წელს და სხვ.

ამას იქით რაღა ქართველი მკითხველი და რაღა ალექსანდრე ჰუმბოლტი, ჰელმგოლცი, ბოკლი, დარვინი! ჩვენ დარწმუნებულნი ვართ, რომ არც ერთმა მათგანმა არ იცოდა, რომ „იონეთის კუნძულებზედ“ რაღაც საწყაოა, ჰქვიან მას სახელად „Агастера“ და უდრის 0,09 ვედროს!

დასასრულ, იქნება, გვისაყვედუროს ვინმემ: ეს შენიშვნები, მიუხედავად მათის სიმართლისა, დაგვიანებულია ცოტაო. არა, ამგვარივე თითქმის შენიშვნები და გაფთხილება ჩვენ გამოვთქვით შარშანვე „ცნობის ფურცელში“, მაგრამ როსტომაშვილმა ახლოც არ მიიკარა არც რჩევა და არც გაფრთხილება. დარწმუნებულნი ვართ, რომ ეხლაც ჩვენი სიტყვები როსტომაშვილს ფიქრს არ შეუცვლის; რაცა ვთქვით, ჩვენა ვთქვით მხოლოდ მკითხველ საზოგადოებისთვის, რომლის წინაშე მოვალე ვიყავით დაგვეფასებინა „ცოდნის სალარო“ ბ-ნ ივ. როსტომაშვილისა მისის ღირსებისამებრ.

სამწუხაროა, ფრიად სამწუხარო! ჩვენ ისეთნი ღარიბნი ვართ მუშაკებითაც, ქონებითაც, რომ ბედოვლათობა და უაზრო საქმის ხელის მოკიდება დანაშაულად უნდა ჩაითვალოს.

მე გახლავარ

---

## შეცდომის გასწორება

გუშინდელ ფელეტონში „უნაყოფო შრომა“, უკანასკნელს სვეტში შეცდომით დაბეჭდილია: „სრული და უნაკლულო“ დიახაც არა არის-რა, ხოლო „უაზრო“ და „უსაგნო“-კი ბევრი რამ არის“. უნდა იყოს: „ხოლო „უაზრო“ და „უსაგნო“-კი ბევრი რამ „არ“ არის“.

რომ სხვა ორ-სამ სოფლებთან ერთად არ შეეძლოთ ერთი ერთ კლასიანის სკოლის შენახვა მაინც, მაგრამ თუმცა ბევრჯელ ჩაუგონებიათ და უღაპარაკნიათ იმათთვის ამ საგნის შესახებ იმათის კეთილდღეის. მუოფთ, ხალხი მაინც როგორღაც უგულოდ ეკიდება სკოლის საქმეს. მით უფრო სასიამოვნო იყო გუშინდელს დღეს, ესე იგი 14-ს ამ თვეს, ამაღლების დღეს, (ამ დღეს დღეობა იცის ამ სოფელში) მოსმენა ეკკლესიაში პაწაწა ბავშვების გალობისა, რომელნიც იყვნენ მეღვრეკისის სამრევლო ერთ-კლასიან სკოლის მოსწავლენი და ჰგალობდნენ იქაურის მასწავლებლის ბ-ნ ციცქიშვილის ლოტბარობით. სასიამოვნო იყო თვით გლეხ-კაცების მხურვალე მონაწილეობაც ამ შემთხვევაში. წირვის დროს, როგორც მოგეხსენებათ, ბევრი კიდეც დადიოდა შექეიფიანებული და მოინდომეს გალავანში ზურნით ლეკურის გაჩაღება. ამ დროს ეკკლესიიდგან გამოვიდა ორიოდე გლეხ-კაცი, მელეკურენი გაჰფანტა ამ სიტყვებით: „რა დროს, ლეკური და ზურნაა ამ მშვენიერ წირვის დროს, გალობის მოსმენას გვიშლითო.“ სწორეთ რომ მადლობის ღირსია ბ-ნი ციცქიშვილი, რომ უნებებია და თავის პატარა მოსწავლეებით სწორეთ იმ სოფელში მოსულა საგალობლად, სადაც ჯერ არც-კი იციან სკოლა რა არის. მით უფრო სასიამოვნო იყო ეს ამბავი, რომ ბავშვები სულ ერთი თვეა, რაც მოუმზადებია, რადგან მეტი ხანი არ არის, რაც ბ ნი ციცქიშვილი არის ს. მეღვრეკისში მასწავლებლად. კარგს ინებებს ბ-ნი ციცქიშვილი, რომ ამ ზაფხულის განმავლობაში, როდესაც თითონაც თავისუფალია და ბავშვებიც, სადაც სკოლები არ არის აქეთ-ახლო მახლო, დღეობებში, როდესაც უფრო მეტი გლეხობა იკრიფება, აგალობოს ხოლმე თავისი პატარა ხორო, რომ ეგების ამითი მაინც შეაყვაროს ჩვენის მხრის გლეხობას სკოლა. ურიგო არ იქნება ამავე დროს ორიოდე სიტყვითაც მიმართოს ხოლმე ხალხს და აუხსნას სკოლის მნიშვნელობა.

ნარ-მან

## რუსეთი

—

განზრახვა აქვთ მთელის რუსეთის მასწავლებელთა კრება გაჰმართონ ქ. პეტერბურგში. კრებამ უნდა მოილაპარაკოს უსინათლოთა სწავლა-აღზრდის საქმის შესახებ.

— საერო განათლების სამინისტრო ამ დღეებში მოილაპარაკებს იმის შესახებ, რომ ყველგან შემოღებულ იქმნეს მარტივი წეს-რიგი სახალხო კითხვების ნება-რთვის მიცემისა სამოსწავლო ოლქების მზრუნველთა მიერო.

— ამ ჟამად გამოქვეყნებულ ცნობებიდგანა სჩანს, რომ მთლად რუსეთის იმპერიაში 1500 სასწავლებელთან არსებობს თურმე სახელოსნო განყოფილებები.

— განზრახვა აქვთ მომავალ წელს მთელის რუსეთის სასანიტარო მკურნალთა კრება გაჰმართონ ქ. პეტერბურგში. კრებამ უნდა მოილაპარაკოს გადამდებ სენთან საბრძოლველ საშუალებათა შემუშავების შესახებ.

## უცხოეთი

—

**ესპანიისა და შეერთებულის შტატების ომი.** გაზ. „Berliner Tageblatt“-ს დეპეშით ატყობინებენ მადრიდიდგან: „აქ მოუთმენლად მოელიან ამბავს ბრძოლის ველიდგან. მთავრობას ამ უკანასკნელ დროს არც ერთი ოფიციალური ცნობა არ მიუღია კუბიდგან, მაგრამ როგორც კერძოდ მოსულის დეპეშიდგანა სჩანს, შეტაკება ორ მოწინააღმდეგე ფლოტს შორის ამ ახლო მომავალში უნდა მოხდეს. ესპანელებს დიდი იმედი აქვთ ადმირალის სერვერისა; ჰფიქრობენ, რომ ამ უკანასკნელის დამარცხებას ამერიკელები ვერ შესძლებენ. თუ ადმირალმა სერვერამ, ამბობენ ესპანელები, იმდენი მოახერხა, რომ შეუმჩნევლად გაიარა ატლანტიის ზღვა და კუბაში ესკადრა უვნებლად მიიყვანა, აშკარაა, ეხლა სულაც არ გაუჭირდება, რომ ამერიკელებს ღირსეული პასუხი გასცეს და მათი გემები უკუ აქციოსო.

— იგივე გაზეთი იუწყება, რომ ესპანიის მთავრობამ გერმანიისაგან იყიდა ახალი გემი, რომელსაც მოწყობისათანავე კუბისაკენ გაისტუმრებსო.

— გაზ. „Times“-ი სწერს: „ამერიკის ის გაზეთები, რომელნიც წინად, ომის დაწყებისას გაიძახოდნენ, რომ ესპანიასთან ომი ჩვენი ჯარისა და გემებისათვის დროს გატარება იქმნებაო, ეხლა ამბობენ, რომ მთავრობამ არ გაზომ-აწონა საქმის ვითარება და სრულიად მოუმზადებელმა დაიწყო ომიო. გაზეთები დიდს უკმაყოფილებას აცხადებენ და სწერენ, რომ ადმირალმა სამპსონმა და კაპიტანმა შლეიმ ერთი თვის განმავლობაში თითქმის არაფერი გააკეთეს, მათ ესპანიის ესკადრაც-კი ვერ შეამჩნიეს, რომელმაც ცხვირ წინ გაუარათო“. მეორე გაზეთი ,,Journal des Debats“-ი სწერს: „ამერიკისათვის ერთმა თვემ ტყუილად ჩაიარა. ისინი ეხლა ისეთსავე მდგომარეობაში არიან, რა მდგომარეობაშიაც ომის დაწყებისას იყვნენ. ამერიკის ესკადრამ ამ ერთის თვის განმავლობაში რამდენსამე ნავთ-სადგურს დაუშინა ყუმბარები, მაგრამ ვერც ერთს ვერაფერი დააკლო და უმეტეს ნაწილად თითონვე დაზიანებული დაბრუნდა. ბევრს ლაპარაკობდნენ კუბაში ჯარის გადასხმის შესახებ, ის დღეც-კი დანიშნეს, როდის უნდა გადაესხათ ეს ჯარი, „მაგრამ კვირეები გავიდა ამ გადაწყვეტილების შემდეგ და დღესაც სისრულეში ვერ მოუყვანიათ თავიანთი განზრახვა. ჯერ ერთი თვე არც-კი გასულა და ჯარში უკმაყოფილება გაისმის. მრავალი ჯარის-კაცი ზანავს თავს ანებებს და შინ გარბის“. გაზეთ ,,Standard“-ის სიტყვით, ,,ამერიკელების უმთავრესი შეცდომა იმაში მდგომარეობდა, რომ მათ ეს ომი ჩრდილოეთ და სამხრეთ ამერიკის შუა მომხდარ ომს შეადარეს. მათ დაავიწყდათ, რომ მაშინ ორისავე მოწინააღმდეგის ჯარი მილიციისაგან შესდგებოდა და ორივე ეს მილიცია ერთნაირად იყო შეიარაღებული; ხოლო ეხლა შტატების მოწინააღმდეგე ევროპის ერთი სახელმწიფოთაგანია, რომლის ჯარი და ესკადრა თუმცა რიცხვით ნაკლებია ამერიკის ჯარისა და ესკადრაზედ, მაგრამ სამაგიეროდ არის შეიარაღებული, გაწვრთნილი და მომზადებული“.

— გაზეთები იუწყებიან, რომ ესპანიის ადმირალი მონტახო, რომელიც მანილაში დევეიმ დაამარცხა, სამხედრო სამართალში იქმნება მიცემულიო.

### მოკლე ისტორიული შენიშვნები.

**1. ეროვნული დროშა.**

მე არსად შემხვედრია ქართულს მწერლობაში გადაწყვეტილი და მიღებული აზრი ეროვნულ დროშის შესახებ. აი ამიტომ ვბედავ მკითხველს მივაწოდო ერთი ცნობა სტეფანე სიუნის ისტორიიდან ამოწერილი. ეს მეისტორიე ორბელიანთა გვარისა სცხოვრობდა მე XIII საუკ. და ერთ ადგილას გვაცნობებს, რომ „მეფის დროშა (საქართველოში) იყო თეთრის ფერისა წითელის ალამით და ამიტომ ორბელიანთ ებოძათ წითელი დროშა თეთრის ალამითაო“. (значекъ).

**2. ქართული ანბანი.**

პროფ. პეტერბურგის აკადემიისა ვ. ვ. ბოლოტოვი ერთი გარემოების გამო ამბობს, რომ ქართული ასო ჯ წარმოადგენს აბრევიატურას (შემოკლებულად ნაწერს) სიტყვას ჯვარს და გადმოტანილია ქართულს ანბანში ბერძნულ კოპტურ აბრევიატურიდან Σταυρός-გან, რომელიც აღნიშნავს აგრეთვე ჯვარს და დაახლოვებით როგორც ქართული ჯ. მაშასადამე, ეს ასო შემოვიდა ქრისტიანობის გავრცელების შემდეგ საქართველოში.

ქართული ასო ქ (ქრისტეს აღსანიშნავად) იგი ადარებს ბერძნულის X (Χριστος) და სომხურს ք (ქ).

**3. დავით გურამიშვილის ბიოგრაფიისთვის.**

დავით გურამიშვილმა ახალის წისქვილის პროექტი დაგვიტოვა და მოხაზულების ქვემოთ რუსულად მიაწერს: „Якона, язображенная Охтярской Богоматери здѣлана мною по обѣщанію“. ეს „Охтярка“ უნდა იყოს „Ахтырка“, რომლის ღვთის მშობლის ხატი ახლაც დიდად პატივცემულია ხალხისაგან. ახტირკა მდებარეობს ხარკოვის გუბერნიაში. არხიეპისკოპოზი ხარკოვისა ითვლება აქამდის აგრეთვე ეპისკოპოზად ახტირისად.

**4. ქართველების სოფლები მცირე რუსეთში.**

იონა მიტროპოლიტის მოგზაურობაში მოხსენებულია სამი ქართველთა სოფელი მალოროსსიაში (მცირე რუსეთში): ბილიკი, ალექსიპელი, და მონატრიჩა. ბილიკი უნდა იყოს ბელიკი (белики), რომელიც ახლაც არსებობს პოლტავის გუბერნიაში მდინარე ოხელზედ, კონსტანტინოგრადის მაზრაში, და ალექსიპელი აწინდელი ნეხპოროშჩა (нехпороща) იმავე მაზრაში (ნახე Эварницкій. Вольности Запорожскихъ казаковъ. Историко-топографическій очеркъ съ картами СПБ. 1890).

ა. ხახანაშვილი

### დამაკვირდი

არა გპოვე ჩემზედა ლხინება და ნათელი ბნელად გარდამექცა.

მირიან მეფე

***

მე ვარ ვითარცა უფსკრული შესაკრებელი ბილწებასა ღვართაჲ.

წმ. დავით აღმაშენებელი

***

უბრალო ვარ და სიმდაბლე ჯერარს ჩემდა.

ვახტანგ გორგასლანი

### წერილი რედაქციის მიმართ

—

მხოლოდ აღდგომის კვირაში გავიგეთ გაზეთებიდგან ჩვენის სახელოვანის მგოსნის აკაკის მძიმე ავადმყოფობა, რამაც აქაური ქართველი სტუდენტობა დიდად დაგვანაღვლიანა; მაგრამ, ჩვენდა სასიხარულოდ, მეორე დღესვე თქვენის რედაქციიდგან დეპეშით სანუგეშო ამბავი მივიღეთ: აკაკი უკეთ არისო. მას შემდეგ-კი აღარა ვცით-რა მისი და ამისათვის ვთხოვთ პატივცემულ ს. თოფურიას ოდესსის ქართველი სტუდენტობა, რომ თქვენის გაზეთის საშუალებით მაინც გვაცნობოს ხოლმე ძვირფასის მგოსნის მდგომარეობა.

სტუდენტების მონდობილობით სტ. ნ. აბდუშელიშვილი

### პეტერბურგის ბირჟა, 19 მაისი

| | მყიდველისა | გამყიდველისა | გაყიდულისა |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| 5%-ნი მომგებიანი გირავნობის ფურცლები სახელმწიფო სათავად-აზნაურო ბანკისა . . . | — „ | — „ | 221 |
| 4½% გირავნობის ფურცლები იმავე ბანკისა . . | — „ | — „ | — „ |
| 6% ფურცლები ქუთაისის სათავად-აზნაურო ბანკისა . | — „ | 102½ | — „ |
| 5% იმავე ბანკისა. | 100 | — „ | — „ |
| 6% ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკისა . . . . | 102½ | — „ | — „ |
| 5% იმავე ბანკისა. | 100 | — „ | — „ |
| 5% ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა . . . | 100¼ | — „ | — „ |
| 5% პირველი შინაგან სესხის მომგებიანი ბილეთი . | — „ | — „ | 287 |
| 5% მეორე შინაგან სესხის მომგებიანი ბილეთი | — „ | — „ | 248¼ |


## განცხადებანი

მითი ვაცხადებ ქუთაისის გუბერნიისა შორაპნის მაზრის სოფ. საქარის იმ

მევენახეთა

**საყურადღებოდ,**

რომელთაც სოფ. საქარის მამასახლისის მოწმობით მომანდეს შაბიამანის გამოწერა და ბათუმის საბაჟოდგან მიღება, რომ **შაბიამანი უკვე მივიღე** და შეუძლიანთ **დაკლებულ ფასად** იყიდონ ზესტაფონის (ყვირილის) ვაჭრის იორდანე ლევანის ძე ცერცვაძის მაღაზიიდგან, რადგან მას მივანდე ზესტაფონში შაბიამანის გაყიდვა.

ქუთაისის ვაჭარი სტეფანე პავლეს ძე ფეიქრიშვილი

(3—6.—2)

## იძლევა ქირით

ცალკ-ცალკე ოთახები მარტო ხელთათვის. შეიძლება **სადილითაც.**

ფრანგების ქუჩა, სახლი ტერ-პეტროზოვისა, № 3. (3—6.—2).

**Т-во БРОКАРЪ и К°.**

ИЗОБРѢТАТЕЛИ

ПАРФЮМЕРІИ

***„Персидская сирень“***

**О-де-колонъ.**

**Духи. ✤ Мыло.**




*Просимъ остерегаться подделокъ.*

(11—მ—11)

## სიცოცხლის დაზღვევა

დამზღვევ საზოგადოება

## „როსსია“,

რომელიც უმაღლესად დამტკიცებულია 1881 წელს.

**საზოგადოების ნაღდ თანხას 32,000,000 მან. შეადგენს.**

საზოგადოება მსურველთ აზღვევს ახალის გეგმითა და მეტად სასარგებლო პირობებით, სახელდობრ: ასეთის დაზღვევით შეიძლება შესდგეს:

თანხა, თუ ვინიცობაა სიკვდილმა უსწრო ადამიანსა.
საქვრივო პენსია.
მოხუცებულობის უზრუნველ-საყოფელი თანხა.
ემაწვილ ქალთა მზითევი.
სტიპენდია ემაწვილებისათვის.
სიკვდილამდე უზრუნველ-ყოფილი შემოსავალი.

1898 წლის 1 იანვრიდგან საზოგადოება როსსიაში დაზღვეულ იქმნა 49,736 კაცი 117,356,600 მანეთად.

მსურველთ განცხადება დაზღვევის შესახებ უნდა შემოიტანონ საზოგადოების სამმართველოში (ს.-პეტერბურგი. ბოლშაია მორსკაია, საკუთარი სახლი № 37). საზოგადოების განყოფილებაში, ტფილისში (სერგიევის ქუჩა, სახლი № 6) და საზოგადოების მთლად იმპერიის ყველა ქალაქების აგენტებთან.

Заявленіе о страхованіи принимаются и всякаго рода свѣдѣнія сообщаются въ Правленіи въ С.-Петербургѣ (Большая Морская, собств. домъ, № 37), въ Отдѣленіи Общества въ г. Тифлисѣ (Сергіевская, домъ № 6) и агентами Общества во всѣхъ городахъ Имперіи.

(6—4)


Дозволено цензурою, Тифлисъ 20-го Мая 1898 г. სტამბა მ. შარაძის და ამხანაგობისა. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.